

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 19

ქ.ვანი თავისუფლების N65

19 დეკემბერი 2018 წელი

12 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგბერიძე, დავით ხარბეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, გაი ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

**მოწვეული პირი:** სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩის და ამავე ქუჩის შესახვევისა და ჩიხებისთვის (1 შესახვევი და 2 ჩიხი) „შალვა ტრაპაიძის“ სახელის მინიჭების შესახებ

მომხსენებელი: /გ. გოგბერიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ

მომხსენებელი: /მ. ნამიჭეიშვილი/

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოხმინეს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩის და ამავე ქუჩის შესახვევისა და ჩიხებისთვის (1შესახვევი და 2 ჩიხი) „შალვა ტრაპაიძის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს შალვა ტრაპაიძე გმირულად დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, ქარელის რაიონის სოფელ ავნიეში, მოწინააღმდეგე მხარის მიერ საარტილერიო ჭურვის აფეთქების შედეგად. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 სექტემბრის N610 განკარგულებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. მისი ღვაწლი და გმირული თავდადება დაუვიწყარი უნდა იყოს მომავალი თაობებისთვის. სოფელ სალხინოში იმ ქუჩისთვის, სადაც დაიბადა შალვა ტრაპაიძე, მისი სახელის მინიჭება კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მის ღვაწლს სამშობლოს წინაშე, უკვდავყოფს მის სახელს და გაამყარებს პატრიოტულ სულისკვეთებას მომავალ თაობებში.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტაცია.

**დაადგინეს:**

კომისიის წევრებმა მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N15 ქუჩის და ამავე ქუჩის შესახვევისა და ჩიხებისთვის (1შესახვევი და 2 ჩიხი) „შალვა ტრაპაიძის“ სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკითხი, რაც დაადასტურეს მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნაზე ხელის მოწერით.

**/დანართი 2/**

**მოხმინეს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ.

კომისიამ განიხილა წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტები. რაც იქნა კომისიის მიერ მოწონებული.

**/დანართი 3/**

## **დაადგინეს:**

კომისიამ მოიწონა და მახრი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონალური განვითარებისათვის საჭირო პროექტებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგობერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა  
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე